ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის

მუხლი 1. მიზანი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ და გაეროს ბავშვთა ფონდი, (შემდგომში “მხარეები”) გამოთქვამენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ, რათა, შეზღუდული შესაძლებლობის და განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებმა, რომელთაც შესაძლოა ქონდეთ ჯანმრთელობის პრობლემები და რომელთა რეინტეგრაცია/შენარჩუნება საკუთარ ოჯახში ან გადაყვანა მინდობით აღზრდაში შეუძლებელია გარკვეული ან ხანგრძლივი დროით, მიიღონ შესაბამისი მომსახურებები ოჯახს მიახლოებულ გარემოში, რომელიც ხელს შეუწყობს მათ სრულფასოვან განვითარებას. კერძოდ, აღნიშნული თანამშრომლობა გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის დიდი ინსტიტუციების ალტერნატიული, ოჯახის ჩამნაცვლებელი მომსახურების შექმნას.

მხარეები აღიარებენ, რომ გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის დასკვნითი რეკომენდაციების (36,37) საქართველოს მიმართ (23 ივნისი 2008) შესაბამისად, დიდი ზომის ბავშვთა სააღმზრდელო ინსტიტუციები უნდა დაიხუროს, რადგანაც ისინი ვერ უზრუნველყოფენ ოჯახურ გარემოს ბავშვებისათვის. შესაბამისად, აუცილებელია ალტერნატიული ზრუნვის მომსახურების მოცულობის გაზრდა სრული დეინსტიტუციონალიზაციისათვის, ამ შემთხვევაში, ეტაპობრივად, სსიპ-ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფილიალის თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის დასახურად.

მუხლი 2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო:

2.1.1. უზრუნველყოფს მზრუნველობამოკლებული, მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის მცირე ზომის ალტერნატიული მომსახურების მოდელისა და შესაბამისი სტანდარტების შემუშავებასა და დამტკიცებას;

2.1.2. უზრუნველყოფს ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისი, მცირე ზომის ალტერნატიული მომსახურების დაფინანსებას სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში;

2.1.3. მხარეებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს ალტერნატიული მომსახურების მოდელს, მისი პერსონალის სამუშაო აღწერილობებს და შესაბამის რეგულაციებს.

2.1.4. მოახდენს მხარეებისა და დაინტერესებული პირებთან თანამშრომლობით შექმნილი ტრენინგებისა და მონიტორინგის მექნიზმების დანერგვის უზრუნველყოფას.

2.2. სოციალური მომსახურების სააგენტო:

2.2.1. უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის მცირე ზომის ალტერნატიული მომსახურების მოდელისა და შესაბამისი სტანდარტების შემუშავებასა და დამტკიცებაში მონაწილეობის მიღებას;

2.2.2. უზრუნველყოფს ბავშვების ჩართვას ბავშვთა ადრეული განვითარების, სკოლამდელი განათლების, პირველადი ჯანდაცვის და სხვა სოციალურ მომსახურებებში, მათი საჭიროებების შესაბამისად; ასევე, ახდენს ბავშვების ბიოლოგიურ მშობლებთან კავშირის მხარდაჭერას;

2.2.3. ახდენს სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველობის სისტემის გაძლიერებას შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებთან მიმართებაში.

2.3. გაეროს ბავშვთა ფონდი, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში („შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დაცვა"):

2.3.1. ხელს შეუწყობს მხარდამჭერი გარემოს შექმნას მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის. ეს გულისხმობს საზოგადოებისა და პროფესიონალების დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შეცვლას ბავშვებთან მიმართებაში, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა აღიზარდონ უსაფრთხო, ოჯახურ გარემოში;

2.3.2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად ხელს შეუწყობს მცირე ზომის ალტერნატიული მომსახურებების შექმნას მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის, რაც მოიცავს სპეციალიზებული სოციალური, ფსიქოლოგიური და საექთნო ზრუნვის მოდელის შემუშავებას, რაც უზრუნველყოფს ბენეფიციარების პოტენციალის სრულ რეალიზებას ადრეული ასაკიდან. მხარდაჭერა ასევე მოიცავს აღნიშნული მომსახურებებაში ჩართული პერსონალის უნარების გაძლიერებას;

2.3.3. ხელს შეუწყობს მცირე ზომის ალტერნატიული მომსახურების მოდელის შემდგომ განვითარებას, რომ შემუშავებული მომსახურებები მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ჯანმრთელობის, განათლების, ბავშვზე ზრუნვისა და სოციალურ სათემო მომსახურებებთან, რათა მოხდეს მაქსიმალური ინტეგრაცია.

მუხლი 3. სტანდარტული პირობები

3.1. მხარეები ხელს აწერენ წინამდებარე ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს. ამასთან, გამოთქვამენ სურვილს, შეინარჩუნონ საკუთარი მისია, მანდატი და ანგარიშვალდებულება. მხარეებს შორის თანამშრომლობას არ აქვს პარტნიორობის ან სხვა სახის იურიდიული კავშირის სახე, თუ ეს ცალკე დოკუმენტით არ იქნება განსაზღვრული. წინამდებარე მემორანდუმი არ ჩაანაცვლებს ან არ აქვს უპირატესი ძალა მხარეებს, ან რომელიმე მხარესა და მესამე მხარეს შორის დადებულ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებთან მიმართებაში. მხარეები აცნობიერებენ, რომ წინამდებარე მემორანდუმი არ აკისრებს მათ ფინანსურ ან იურიდიულ ვალდებულებებს.

3.2. უფლებამოსილი წარმომადგენლები: მხარეებს უნდა წარმოადგენდნენ მემორანდუმის ხელმომწერი ორგანიზაციების უფლებამოსილი თანამდებობის პირები ან მათი მოვალეობის შემსრულებლები. ამას გარდა, მხარეებს აქვთ უფლება, მეორე მხარის წერილობითი შეტყობინების პირობით, დანიშნონ დამატებითი უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომელთაც შეუძლიათ მხარეები წარმოადგინონ ნებისმიერ საკითხში, გარდა მემორანდუმში ცვლილებების შეტანისა. მხარეები ვალდებულნი არიან წერილობით აცნობონ ერთმანეთს უფლებამოსილი წარმომადგენლის შეცვლის შესახებ.

3.3. შესწორებები და ცვლილებები: მემორანდუმში შესაძლებელია შესწორებებისა და ცვლილებების შეტანა მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

3.4. წინამდებარე მემორანდუმი შეწყდება მისი შესრულებით, მხარეთა შეთანხმებით, ან ერთ - ერთი მხრის ინიციატივით, რის შესახებაც მხარეებმა წინასწარ უნდა აცნობონ მემორანდუმის მხარეებს 30 კალენდარული დღით ადრე.

3.5 წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია, განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.6. ენა: წინამდებარე მემორანდუმი მომზადებულია სამ ეგზემპლარად, ინგლისურ და ქართულ ენებზე. ვერსიებს შორის შეუსაბამობის ან წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესი ძალა ენიჭება ქართულ ვერსიას.

3.7. ძალაში შესვლის თარიღი: მემორანდუმი ძალაში შედის ყველა მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2018 წლის 14 იანვრამდე.

ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, მხარეები, მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების სახით, ხელს აწერენ ამ მემორანდუმს 2016 წლის 14 იანვარს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
მისამართი: წერეთლის გამზ.144. 0119, თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 2 510 047; 2 510 048; 2 510 049

მინისტრი

დავით
სერგეენკო

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო
მისამართი: წერეთლის გამზ.144. 0119, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 510 047; 2 510 048; 2 510 049

დირექტორი

ზაზა სოფრომაძე

გაეროს ბავშვთა ფონდი:
UNICEF თბილისი
მისამართი: ერისთავის 9, 0179 თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 23 23 88

წარმომადგენელი

საშა გრაუმანი